Himmvac Dalguban BN-2 plus Combined Live Vaccine

ინფექციური ბრონქიტის ვირუსი შტამი K2 და ნიუკასლის დაავადების ვირუსი გენოტიპი VII KBNP-C4152R2L შტამი, მშრალად გაყინული

ფრინველის ვაქცინა

Himmvac Dalguban Plus

პროდუქტი დამზადებულია თანამედროვე მაღალტექნოლოგიური მეთოდებით. შეიცავს მშრალად გაყინულ ცოცხალ ინფექციური ბრონქიტის ვირუსს (შტამი K2) და ნიუკასლის დაავადების ვირუსს VII გენოტიპი (შტამი KBNP-C4152R2L). გამოიყენება ჯანმრთელი წიწილის ვაქცინაციისთვის ინფექციური ბრონქიტისა და ნიუკასლის დაავადების პრევენციისთვის.

შემადგენლობა

შეიცავს ინფექციური ბრონქიტის ვირუსს (შტამი K2) და ნიუკასლის დაავადების ვირუსს VII გენოტიპი (შტამი C4152R2L)

ჩვენებები

გამოიყენება ჯანმრთელი წიწილების ვაქცინაციისთვის ინფექციური ბრონქიტისა და ნიუკასლის დაავადების პრევენციისთვის

გამოყენების ინსტრუქცია

ვაქცინა გამოიყენება ბროილერისა და მეკვერცხული ქათმის ვაქცინაციისთვის. დასაშვებია როგორც დასხურების, ასევე სასმელ წყალში გახსნის მეთოდი. განსაკუთრებულ შემთხვევებში შეგიძლიათ გამოიყენოთ თვალში ჩაწვეთების გზით. პროდუქტი გამოიყენეთ მისი გახსნისთანავე. ყურადღებით გაეცანით ქვემოთ მოცემულ ინსტრუქციას.

A. შესხურების მეთოდი

ვაქცინა ბოლომდე გახსენით გამოხდილ წყალში. მომართეთ შემფრქვევი იმგვარად, რომ შეასხუროს ერთგვაროვანი წვეთები (60-115 μm). შესხურებისას გამორთეთ გათბობისა და ვენტილაციის სისტემები, ასევე ნებისმიერი სხვა მოწყობილობა, რომელმაც შეიძლება წვეთები გააბნიოს. შეასხურეთ პირდაპირი გზით, დაახლოებით 50-70 სმ სიმაღლიდან. დარწმუნდით, რომ შესხურებული წვეთები ხვდება ქათმის თვალსა და ცხვირში. მნიშვნელოვანია, რომ დასხურების მეთოდის გამოყენებისას, პროცედურა ჩაატაროს გამოცდილმა პერსონალმა, რათა სწორად განსაზღვროს შესხურების ნაწილაკების ზომა, ქათმის ასაკი, გარემოს ტენიანობა და სხვა მნიშვნელოვანი დეტალები.

B. სასმელ წყალში შერევის მეთოდი

ვაქცინაციამდე 2 საათით ადრე ქათამს სრულად შეუწყვიტეთ სასმელი წყლის მიწოდება. ვაქცინა გახსენით იმ დოზირებით, როგორც ეს ეტიკეტზეა მითითებული. ყურადღება მიაქციეთ რომ სამელ წყალთან ერთდროულად ქათმების 2/3-ს მაინც შეეძლოს მისვლა. დარწმუნდით, რომ ყველა ქათამმა დალია ვაქცინის შემცველი წყალი. წყლის სარეკომენდაციო ტემპერატურაა 21 გრადუსი ცელსიუსი. რეკომენდირებულია, რომ ვაქცინაციამდე და ვაქცინაციის შემდგომ 24 საათის განმავლობაში სასმელი წყლით არ მიაწოდოთ რაიმე სხვა პრეპარატი.

სიფრთხილის ზომები

- შეინახეთ 2-8 გრადუს ცელსიუს ტემპერატურაზე.
- ვაქცინა მოარიდეთ სინათლის სხივს.
- მოარიდეთ ბავშვებს.
- ვაქცინა გამოიყენეთ ვეტერინარის დანიშნულების მიხედვით.
- გამოიყენეთ მხოლოდ ვეტერინარული მიზნებისთვის.

შეფუთვა

2000 დოზიანი ფლაკონი

მწარმოებელი KBNP inc.
სამხრეთ კორეა
www.kbnp.net
kbnpexport@kbnp.co.kr
+82-31-478-5775

INTRACO GEORGIA

ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში
შპს ინტრაკო ნუტრიშენი

+995 551 09 19 00
+995 595 94 71 47
info@intraco.ge
გარდაბნის რაიონი, სოფელი თელეთი

www.intraco.ge